



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №28

2016 წლის 1 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

- 1.დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს ადგილები დანართი N1-ის შესაბამისად.
- 2.სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
- 3.აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.
- 4.ძალადაკარგულად გამოცხადდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 ივლისის N42 განკარგულება “საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ”.
- 5.განკარგულება გადაეგზავნოს შესაბამის (დუშეთის) საოლქო საარჩევნო კომისიას, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
- 6.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონული სასამართლოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში (მის. ქ. დუშეთი, კოსტავას ქ. N 38).

საკრებულოს თავმჯდომარე



გივი ზურაბაშვილი

1.ქ. დუშეთის შემოსასვლელში არსებული თავისუფალი ტერიტორია და სტენდები (ბაგიჭალა- დუშეთი-არაგვისპირის შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზის ორივე მხარეს კმ 1-19.3).

2. ქ. დუშეთი, ადმაშენებლის ქუჩაზე (ყოფილი სტალინის ქ. N27) ადმინისტრაციული შენობის ეზოში მდებარე სტენდი;

3. ქ. დუშეთის შემოსასვლელში არსებული შინმოუსვლელთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორია;

4. ქ. დუშეთში მდებარე სატყეო მეურნეობის ყოფილი შენობის მიმდებარე ტერიტორია;

5. ქ. დუშეთში მდებარე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ყოფილი შენობის მიმდებარე ტერიტორია;

6. ქ. დუშეთში მდებარე ყოფილი დუშეთის მეურნეობის ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორია;

7. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებულ პუნქტებში განთავსებული ელექტრო ან სხვა დანიშნულების საყრდენები (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული).

8. დაბა ჟინვალის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია;

9. დაბა ჟინვალის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია;

10. დაბა ჟინვალის მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;

11. დაბა ჟინვალის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

12. დაბა ფასანაურის კლუბის მიმდებარე ტერიტორია;

13. დაბა ფასანაურში მდებარე ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორია;

14. დაბა ფასანაურის ყოფილი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია;

15. სოფელ წითლიანების საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

16. სოფელ მჭადიჯვრის საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია;

17. სოფელ შუახევის ყოფილი მეურნეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია;

18. სოფელ ჭილურტის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

19. სოფელ ებნისის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

20. სოფელ ოძისის ფოსტის ყოფილი შენობის მიმდებარე ტერიტორია;

21. სოფელ ბაზალეთის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

22. სოფელ ბაზალეთის ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორია;

23. სოფელ საკრამულის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

24. სოფელ ჭოპორტის ცენტრში არსებული სარეკლამო დაფა;

25. სოფელ წითელისოფლის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია

26. სოფელ ბულაჩაურის ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორია;

27. სოფელ ლაფანანთკარის ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორია;

28. სოფელ ლაფანანთკარის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

29. სოფელ აბანოსხევის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

30. სოფელ აბანოსხევის ფოსტის შენობის მიმდებარე ტერიტორია;

31. სოფელ არაგვისპირის საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია;

32. სოფელ ყვავილის დანიელ ჭონქაძის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია;

33. სოფელ გრემისხევის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

34. სოფელ ხეობის ყოფილი ამბულატორიის შენობის მიმდებარე ტერიტორია;

35. სოფელ ახალციხის ყოფილი ბიბლიოთეკის შენობის მიმდებარე ტერიტორია;

36. სოფელ ანანურში სანიაღვრე ხიდის მიმდებარე ტერიტორია;

37. სოფელ ანანურის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

38. სოფელ ანანურის საექიმო ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორია;

- 39.სოფელ ჭართლის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია;
40. სოფელ მუგუდას მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.
41. სოფელ კიტოხის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;
- 42.სოფელ ქვეშეთის ფოსტის ყოფილი შენობის მიმდებარე ტერიტორია;
- 43.სოფელ მლეთის მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;
- 44.სოფელ დიდველის ბუნებრივი აირის ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორია
- 45.სოფელ მაღაროსკარის მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;
46. სოფელ მაღაროსკარის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;
47. სოფელ ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახლმუზეუმის მიმდებარე ტერიტორია;
48. სოფელ შუაფხოს საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორია;
49. სოფელ შუაფხოს ამბულატორიის შენობის მიმდებარე ტერიტორია.
50. სოფელ ბარისახოს ყოფილი საკრებულოს შენობის მიმდებარე ტერიტორია;
51. სოფელ გუდანის ყოფილი კლუბის შენობის მიმდებარე ტერიტორია.
52. სოფელ შატილის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია;
- 53.სოფელ შატილის სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორია.